სახალხო გაგეთი

№ 495 კვირა, 8 იანვარი, 1912 წ. № 495

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ საეპარო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-ამოსვლის გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-ოან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაბეჭდილი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети. п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ახალ-ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

მაგდგანაც საახალწლო (1 იანვრის) ნომერი სულ გასაღდა, 5 იანვრის შემდეგ ჩვენი გაზეთის ახალი ხელის მომწერნი ამ ნომერს ვეღარ მიიღებენ და ვთხოვთ ხელის მოწერის დროს ეს მხედველობაში იქონიონ.

„სახალხო გაზეთის" რედაქცია.

სახალხო გაგეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,

რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ტფილისისა ტფილისს გარეთ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე

ყველანაირნ შემთხვევებში უფასო.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილოგით მხოლოდ შემდეგ [illegible] მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**
3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

ყველაზე ძალიანა საღდება
პაპიროსი

„მ ა რ ს ი",

20 ცალი 5 კაპ.

რისთვისაც ბევრმა ქარხანამ **სიყალბეს** მიჰყო ხელი, ამიტომ გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ფირმას. **ნამდვილ პაპიროს „მარსს"** უნდა ჰქონდეს წარწერა:

(100.1622.18) **„ძმ. სეილანოვები".**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	ფაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	ფანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 12½—1½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. ავად. (ქირურგ.).	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ბ. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავად.	**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ავად.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
კარ. ნ/ო ტ.	**ბეჟენიანეცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
თვალის ავად.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კანის ავად.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1089—242)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, №23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½დან 5 ს.-მდე.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1 2 საათამდე.

ვაუკოვი ქირურგ. ყოველ-დღე 12 1.

მონსე ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ-დღე, გარდა კვირა უქმისა 1½ 3 საათ.

კალამკაროვი ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12 1 საათ.

უკლადნიკოვი შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4 5 საათ.

რიდელი შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12 1 საათ.

თეთრაძე სიფ. ვენერ., კან. ყოველ-დღე 1 3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½ 12½ საათ.

რუდენკო შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3 4 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოველ-დღე 2 3 საათ.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11 12 საათ.

ყალამქაროვი ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ-დღე 2 3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰინზოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1526 39).

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლოგა 606 -ის

(წლ. 1090 246)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორლანოვის ქ., № 20. (წ. 1249 53).

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3--9 ს., საღამოთი 5--7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9 60).

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ., სნეულებათა, პარიზეი პროფეს. Mathien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-დე და საღამოს 6 7 საათამდე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—69).

ექიმი ალ. კ ბ ი ლ ი ს ა სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9--2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ქ ა ჯ ა ი ა იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.12)

ექიმი შ. ა. მ ი ქ ე ლ ა ძ ე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაგრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 **სა**ათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანაბამად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 207)

ექიმი ნ. ტ. ბ უ ლ ი ნ ი ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12--1 საათამდე საღამოს 6--8 საათამდე. სერგეევის ქ. 8. (თ. 1545 57).

ექიმი ვ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.3).

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე მყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ბ. მ. ლ ო ლ ო ბ ე რ ი ძ ე იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4 - 6 საათ. წამლობა ფოსფაციდით. კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ--1657-- 2)

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა იოსებ ზაქარიას ძე კ ა ნ დ ე ლ ა კ ი მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50--1552--24.

ექიმი მ. ს. კ ო ბ ე ლ ი ძ ე ქ. ბ ო რ ჯ ო იღებს ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9 12 ს.-მდე. საღ. 5--7 სემინარიის ქუჩაზე სახლი № 1 ზანგურიძისა. (25 968 18)

ვისაც **კუჭი მოშლილი** აქვს, დიდს შეღავათს იგრძნობს, თუ სადილ წინ ნახევარ საათით ადრე მიიღებს **„ფრანც-იოსების"** 1—2 მაგიდის კოვზ თავანკარა მწარე წყალს. **„ფრანც-იოსების"** თავანკარა წყალია, სწერს Prof. D-r Y NUSSBAUM, მიუნჰენში, მოქმედებს სწრაფად, უტკივილოდ და ხშირად სულ მცირეც რომ მიიღოთ, გასჭრის".

Метцъ. 181584. (1.1007.1)

ტ ფ ი ლ ი ს ი, 8 ი ა ნ ვ ა რ ი

ოსმალეთის ვითარება. დეპეშათა სააგენტომ ფრიად საყურადღებო ამბავი გავცინობ: ოსმალეთის სენატმა ნე'ა დართო დიდ ვეზირს საიდ-ფა"ას ოსმალეთის პარლამენტი დაითხოვოს და ახალი არჩევნები მოახდინოს.

ცუდ დროს განიცდის ამ ჟამად ოსმალეთი. იტალიასთან ომი მას უქადის თავის ერთად ერთ დარჩენილ ახალშენის აფრიკაში, ტრიპოლისის, დაკარგვას. თუ ჯერ-ჯეროობით ოსმალთა ჯარი არაბთა რაზმების დახმარებით დიდ წინააღმდეგობას უწევს იტალიელთა მხედრობას, ეს მხოლოდ დროებით. ოსმალთ არ შეუძლიანთ თავიანთი ჯარები გაამრავლონ ტრიპოლისში, ვინაიდან ჯარების გადაყვანა ოსმალეთიდან ტრიპოლისში შესაძლებელია მხოლოდ ზღვით და ზღვაზე კი ბატონობენ იტალიელები, იტალიელები კი თავისუფლად ერთიორად გამრავლებენ თავიანთ ჯარებს. გავა ზამთარი, და იტალიელთა ჯარებიც გაილაშქრებენ შუა გულ ტრიპოლისში და, რა თქმა უნდა, დაამარცხებენ რიცხვით ბევრად უფრო მცირეს, თუმცა ძლიერ გამბედავ და გულად ჯარს ოსმალეთისას. იტალიასთან ომი, ეჭვს გარეშეა, ოსმალეთისათვის ტრიპოლისის დაკარგვით დამთავრდება.

არც აღმოსავლეთის საზღვრებზე აქვს კარგად საქმე ოსმალეთის იმპერიას. ამ ჟამად სპარსეთში ფრიად საყურადღებო ამბები ხდება. სამხრეთ სპარსეთში ინგლისმა შეიყვანა ჯარები. ჩრდილოეთი სპარსეთი კი თითქმის მთლად დაიჭირა რუსეთმა. სხვა დროს რომ ყოფილიყო ჭიტალიასთან ომი რომ არ აწუხებდეს ოსმალეთს, საქმე სხვანაირად წავიდოდა და ოსმალეთიც მოითხოვდა თავის წილს და გაბედულადაც შეიყვანდა თავის ჯარებს ურმიაში-სპარსეთის ოსმალეთთან მოსაზღვრე პროვინციაში. ეხლაკი ამისათვის ოსმალეთს არა სცხელა.

არც თვით ოსმალეთში მიდის კარგად საქმეები. ამ ბოლო დროს მაკედონიაში ალაგ-ალაგ ტერორისტულ აქტებს ჰქონდათ ადგილი. ცხადია, რომ ეს ტერორი არა შემთხვევითია, არამედ გამოწვეულია ოსმალეთის მთავრობის პოლიტიკით მაკედონიაში. ამ ქვეყანაში, სადაც, გარდა ოსმალთა, სცხოვრობენ ბოლგარელები, სერბიელები და ბერძნები, ძველი რეჟიმისა და აბდულ-ჰამიდის დროს მუდამ არეულობა იყო. ახალ რეჟიმის დამკვიდრებამ ოსმალეთში იმედი გაუღვიძა მაკედონელთ, რომ სასურველად გადაიყვანდა და, [illegible] ყველა თუ არა, ზოგიერთი მათი კანონიერი მოთხოვნანი დაკმაყოფილებულ იქნება ოსმალეთის კონსტიტუციონალურ მთავრობის მიერ. მაგრამ ახალგაზდა ოსმალნი ნაციონალისტურ პოლიტიკას დაადგნენ და მოისურვეს ყველა ერების, რომელნიც კი ოსმალეთის საზღვრებში სცხოვრობენ, გაოტომანება და არც ერთი მათი ეროვნული, სულ უბრალოც კი, მოთხოვნა არ დაკმაყოფილეს. მაკედონელთა მოთმინების ფიალა აივსო. შესაძლებელია ბოლგარეთმაც წააქეზა მაკედონიაში მცხოვრები ბოლგარელები იმ იმედით, რომ იტალიასთან ომის გამო ოსმალეთი ეხლა დასუსტებულია და ბოლგარეთს შეეძლება მღვრიე წყალში თევზი დაიჭიროს და მაკედონიის ნაწილი, ბოლგარელების მიერ დასახლებული, შემოიერთოს. ასეა თუ ისე, მაკედონიაშიც არეულობაა. აი სწორედ ასეთ დროს, როდესაც შინ და გარეთ სახელმწიფოს საფრთხე მოელის, სჭირია მას ისეთი მთავრობა, რომელსაც შეეძლება მტკიცედ და შეურყევლად გაუძღვეს სახელმწიფოებრივ საქმეებს. ეს კი პარლამენტალურ სახელმწიფოში, როგორიც ოსმალეთია, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მთავრობას ემხრობა დიდი ნაწილი ხალხის წარმომადგენლებისა — დეპუტატებისა. ოსმალეთში კი ამჟამად საიდ-ფაშას სამინისტროს პარლამენტის უმეტესობა არ ეკუთვნოდა. მას ემხრობოდა მხოლოდ 100 ახალგაზდა ოსმალი, მისი წინააღმდეგი იყვნენ 75 ეგრედ წოდებული ლიბერალები, დანარჩენი დეპუტატები კი—24 ბერძენი და 40 დამოუკიდებელი—ხან მთავრობას ემხრობოდა და ხან კიდევ ოპოზიციას. ასეთ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, საიდ-ფაშას არ შეეძლო განეგრძო ოსმალეთის მართვა-გამგეობა. საჭირო იყო პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნებით გაგება ხალხის აზრისა. საიდ-ფაშაც ასე მოიქცა. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად შერჩათ ხალხის სიმპატიები ახალგაზდა ოსმალთ. ეს კი ცხადია, რომ წინანდელი გავლენა მათ უკვე დაჰკარგეს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

ტფილისის საქალაქო არჩევნებს ამ ბოლო დროს გაზეთ „ოდესკი ლისტოკი“-ც შეეხო.

ტფილისის საქალაქო არჩევნების დროს თავი იჩინა ქართველებსა და სომხებს შორის ჩამოგდებულმა ძველმა შუღლმა. ქალაქის გამგეობაში გაბატონების შეუჩერებელ სურვილში როგორც სომხებმა, ისე ქართველებმა ბევრს არა-საკადრის საქციელს მიჰმართეს. მაგრამ ის, რასაც ქართველი-ნაციონალისტები არჩევნების წინ სჩადიოდნენ, უკვე გადასცდა შესაძლებლობის საზღვარს. თვის ეროვნულ სიბეცეში მათ საზღვარი ვერ დაინახეს. ყველამ იცის, რომ სომხები რიცხვითაც და ქონებითაც ქართველებს აღემატებიან და, რასაკვირველია, ქალაქის საბჭოშიაც მათ თვალსაჩინო უმრავლესობა ჰყავთ. ქართველები გულმოკლულნი შესცქერიან მათ სატახტო ქალაქში სომხების გაბატონებას. მართალია, ბრძოლა ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია, მაგრამ იგი საზღვარს არ უნდა გასცილდეს. ქართველი ნაციონალისტები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ სომხების კანდიდატები გააშავონ. იგინი მემარჯვენე რუსებსაც კი ეკვრიან ბლოკით და მათთან ერთად ადგენენ სასურველ კანდიდატთა სიას. ამ რიგად ქართველი-ნაციონალისტები, რომელთაც თავი დემოკრატებად მოაქვთ და რომელთაც თავი ქართველი ერის ჭეშმარიტ წარმომადგენლებად მიაჩნიათ, ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრებს ეკვრებიან ბლოკით! უნებლიედ იბადება კითხვა: სტყუიან თუ არა ჭეშმარიტი რუსები, რომელნიც „ინოროდცებს“ პოლიტიკურად არასაიმედოდ სთვლიან? ეს მაგალითი ცხადად გვიჩვენებს, რომ ინოროდცების წრეშიაც მრავლად მოიპოვება ისეთი ჯგუფები, რომელნიც თვისი მოქმედებით „სოციუნიკებს“ უახლოვდებიან. ეს ამბავი მეტად საგულისხმიეროა.

ოდესის ქართველობა პროტესტს აცხადებს ქართველ-ნაციონალისტების წინააღმდეგ, რომელთაც ქართველ ხალხის სახელით მოქმედების უფლება დაუჩემებიათო“.

ახალი ამბავი

ტფილისი

ნამესტნიკის საბჭომ 4 იანვარს დაადგინა: 1) მიეცეს სასყიდელი რკინის გზის საკერო

ქმე. ეს უკანასკნელნი ძრიელ ბევრი საქმით არიან დატვირთულნი და ამისათვის ჟურნალ-გაზეთების და თვითგანმანათლებელ წიგნების გავრცელების საქმეს მეტად მცირე ყურადღებას აქცევენ. მათი აგენტობა ხელსაყრელი არ არის, როგორც წიგნების ისე ჟურნალ გაზეთების გამოცემისათვის. დიდი სიფრთხილეა ამასთანავე საჭირო აგენტის გამორჩევის დროს. აგენტი პარტიული დოგმებით არ უნდა იყვეს დაბრმავებული. წიგნებიც მეტად უსისტემოდ გამოდის. სახალხო გამოცემებს მოკლებული ვართ. ჩვენდა სასირბოდ ილიას და აკაკის სრული კრებულიც კი არ მოგვეპოება. ყოველივე ამ საქმეს იოლად მოაგვარებს წიგნების გამომცემელთა კრება, რომ ის ამ ახლო მომავალში მოხდებოდეს. ამ კრებას სხვაც ბევრი ექნება საჭირბოროტო საკითხები გასარკვევი. ინიციატივა კრების მოწვევისა წ. კ. საზოგადოებამ უნდა იკისროს. რაც უფრო ადრე მოხდება ასეთი კრება იმდენად საქმისთვის სასარგებლო იქნება.

აქილესი.

მოწერილი ამბები

ს. წაღვერი (ბორჯომის ხეობა). ბორჯომის ხეობა საზოგადოდ მეტად ღარიბია სასწავლებლებით, მით უმეტესად სხვა საზოგადო დაწესებულებითაც. უმთავრესი მიზეზი—ხალხის შეუგნებლობა და სიღარიბეა, მაგრამ ამ მიზეზებს ზედ ერთვის ხშირად ზოგიერთა ჩვენი ქვეყნის მარილოა-სოფლის მღვდლებთა გულ-გრილობა.

აი, ერთი საგულისხმიერო და მასთან მეტად სამწუხარო მაგალითი.

ს. წაღვერის გლეხ-კაცობას დიდი ხანია სურვილი ჰქონდა სკოლის დაარსებისა, მაგრამ უსახსრობისა გამო ვერა და ვერ მოახერხეს თავიანთი სურვილის განხორციელება.

როგორც იქნა 1905 წელს წაღვერელებმა მეზობელ სოფლების გლეხ-კაცობასთან ერთად ააშენეს ს. წაღვერში სახლი მღვდლისა და სკოლის მოსათავსებლად. მღვდელი ხახიშვილი, რომელიც მაშინ მღვდლობდა, აქ დაბინავდა ამ ამ სახლში და სკოლაც გახსნა, მაგრამ სულ მცირე ხნის განმავლობაში მიჰკეტა სკოლა და სასკოლო ოთახს გაქირავება დაუწყო. ამ სულიერმა მამამ ეს არ იკმარა და როცა 1909 წელს ამ მრევლიდან ტფილისში გადაიყვანეს, წასვლისას მრევლს გამოუცხადა: ამ სახლზე დახარჯული მაქვს ჩემი საკუთარი 1300 მანეთი და სანამ ამ ფულს არ ჩამაბარებთ სახლს არ დაგანებებთო. გაოცდა მრევლი, არ იცოდა რა ეპასუხა მოძღვრისთვის, მაგრამ მალე შუა კაცები გაჩნდნენ და შეუდგნენ მღვდლის და მრევლის მორიგებას. მორიგება ვერ მოხდა. სახლი მღვდელმა ხახიშვილმა დაჰკეტა და თითონ ტფილისში გადასახლდა. დაიწყო დავა. მღვდელი ხახიშვილი არხეინად ყოველ ზაფხულს მობრძანდებოდა სახლობით სააგარაკოდ წაღვერში, ამ სახლში და თანაც ოთხს ოთახს აქირავებდა. სამი წელიწადი გასტანა ამ დავამ და მხოლოდ წრეულ ღვინობისთვის გასულს ეღირსა ამ საქმეს გამოძიება და ნახევრად დაბოლოება. ეს საქმე გამოიძია სინოდის კანტორამ და აი, გამოძიების შედეგი.

სახლი ააშენა მრევლმა და მღვდელ ხახიშვილს მხოლოდ 30 მანეთი დაუხარჯავს თავის საკუთარი ამ სახლის აშენების დროს. ეს სახლი სულ უსაბუთოდ და უკანონოდ მიუთვისებია მღვდელ ხახიშვილს, რისთვისაც კანტორა განკარგულებას ახდენს ბორჯომის ბლაღოჩინის სახელზე, სახლი ჩაჰბარდეს მრევლს და კომისია შეადგინეს სახლის დასაფასებლად. (Указъ Синод. конт. отъ 10 октябр. с. г. за № 2116 ქ.)

28 ქრისტიშობისთვეს შესდგა კომისია და ადგილობრივ ს. წაღვერში შეაფასა ეს სახლი და გამოარკვია, რამდენი დაუხარჯავს მღვდელს ხახიშვილს ამ სახლის ასაშენებლად და რამდენი მრევლს. გამოირკვა, რომ მღვდ. ხახიშვილს ედება მრევლისა კიდევ 300 მანეთამდე.

ამ კომისიას თვით მღვდელი ხახიშვილი დაესწრო, რომელსაც ხალხმა მიმართა შემდეგი სიტყვებით: ხომ ჰხედავთ, მამაო ვასილ, ვალი ჩვენ თქვენი არაფერი გვედება, პირ-იქით, ჩვენი გეგალებათ. არ გვინდა თქვენი არაფერი, მშვიდობით მოვათავოთ ეს საქმე, მოვსპოთ ეს დავი-დარაბა, გვაკმარეთ ამდენი ხეტიალი ტფილისში და უმიზნოდ ფულის ფლანგვა. გაგვიღეთ ამ სახლის კარი, რომ სკოლა გავხსნათ და ჩვენს ბავშვებს ანა-ბანა მაინც ვასწავლოთ.

სთხოვეს მამა ხახიშვილს ხალხთან მორიგება, აგრედვე კომისიის წევრებმა.

გვეგონა, რომ მამა ხახიშვილი ეხლა კი იგრძნობდა ამ მისთვის არა საკადრისს საქმის ჩადენას, აღიარებდა გუნებაში მაინც თავის დანაშაულს ხალხის წინაშე და მიიღებდა ხალხის თხოვნას.

მაგრამ მწარედ გაგვიცრუვდა იმედი. მამა ხახიშვილმა არამც თუ უარჰყო ხალხის წინადადება და თხოვნა, დაემუქრა კიდეც.

მეტად დამაღონებელი სურათი გვედგა წინ. გაწბილებული და გაცრუებული ხალხი შეჰყურებდა თავის ძველ მოძღვარს, იმ მოძღვარს, რომელიც რიხიანად ამცნობდა მათ ძმობა-ერთობა-სიყვარულს. თვითონ კი ასე ექცევა მრევლს... ნუ თუ ბოლო არ უნდა მოეღოს ამას?!

სიმართლე.

პატარა ფელეტონი

სევდის ღამე

მწუხრი იყო. ნაცრის ფერი, ნოტიო ნისლით შებურული ცა ისე ახლო იყო მიწასთან, თითქოს ჭლამობდა ჩამოწოლას, რომ გამოიტიროს მისი გაპარტახებაო. ფოთოლ შემოძარცულ ხეებს წკაპა-წკუპით ეცემოდნენ წვეთები, სწორედ ისე, როგორც სამარის პირას სასო მიხდილს, ძაძა მოსილ მშობელს სცვივა ცრემლები დაკარგულ შვილის სამარეზე.

განწირულება გრიგალის ფრთებზე გადამჯდარიყო და შემაზრზგნელ ზუზუნით სულთათანს უგალობებდა უმწეო ბუნებასა. ჩვეულსა გამარჯვებასა. მიტომაცაა, გულდაგულ რომ ებრძოლებოდა ყოველ გვარ დაბრკოლებას; მიტომაცაა, ყინვის მარწუხებს რომ უჭერს აჩრდილივით მთოლვარე ხეებსა. ხან დასმით იყურჩებდა ხოლმე, რომ ყური მიეგდო დამარცხებულის უკანასკნელ გაბრძოლებისთვის. ეს იყო წუთები საშინელი, ზარ-მხდომელი ავ-სულეთის დუმილისა.

საშიშროება ხან შეერთდებოდა, შეიკუმშებოდა, სათანაგლის სახიერებათ გამოქანდაკდებოდა, წყვდიადის შავ-კუნაპეტ სხივებით განათდებოდა და სტკბებოდა ძრწოლის და ცახცახის, მსხვრევისა და განადგურების ორგიითა.

პატარა ოთახში, რომელიც უფრო კუბოს წააგავდა, ვიდრე ცოცხალთა სავანეს, მეხ-დაკრულსავით გაშეშებულიყო ჯაბუკი. მისთა თვალთა ღრმა მეტყველება სადღაც დატანტალებდა, შუბლ დაღარულ უდროო ჭმუნვებში, ქარვად გარდაქმნილ ტუჩებში იყო რაღაც სევდიანი, მღაღადებელ-მავედრებელი და იმავე დროს რაღაც მკრულავი.

არასოდეს გამოეცადა ის მდგომარეობა, რასაც განიცდიდა უკანასკნელ ჟამს. ის იყო გულის მღრღნელი, ფიქრთა მომწამვლელი. ის განიცდიდა შეგრძნებას თავისს არსების სიცალიერისას. მას ჰსურდა გაჰქცეოდა თავისს თავსა.

მაგიდაზე იდო პირ-მოხეული უსტარი.

...სად, სადა ვპოვო ბედით კრულმა სულის სიმშვიდე!—წამოიძახა მან და თან ისე ამოიკვნესა, თითქოს გულ-მუცელი თან ამოატანაო.

სად არის მხარე დავიწყების, განსვენებისა?

ბნელა გარემო, ჩემს სულში კი მასზე უფრო ორმაგად ბნელა. ქარი ჰქვითინებს, მაგრამ ჩემსას ვით შეედაროს, რომელიც ზარ-მხდომელია, ვითარც დანტეს განწირული ხმა.

საზარელია ყოფა ჩემი, ვაჰ, საზარელი!

კაეშნის ღამემ, შემმუსრავმა სულის სიმშვიდის, ბუნების სიმშვენსინარნარე შარავანდედის გრძნეულებრივად დამიმონა, მომაჯადოვა.

მან, მხოლოდ მან აღმისპო სასოების ნეტარი თრთოლა; მან დაუმონა ნებისყოფა ჩემი დემონისა.

ფიქრთ მომწამვლელი გაჰკიდის ქარი. იგი ამაყად გაიძახის: ყველა კუთხეში მყავს თანამგრძნობი, რომელნიც თვისდა შეუგნებლად მე მაღმერთებენ. ჩემ მეოხებით ანადგურებენ იმედის მთებს ცრემლთა კვარცხლბეკზე. აცამტვერებენ ტაძარს რწმენისას, სად ვედრებით მუხლს მოიყრიდნენ.

ან რატომ არა. რისთვის სუფევდნენ სათნოებანი, როს იმის უწინ მეუფებდა კადნიერება. რისთვის უნდა ფსალმუნებდეს ტკბილ-ჰარმონია, როს დასამის გრძნეულებით იხიბლება ყველა არსება. ყველა ნარნარსა მელოდიას ეფსალმუნება.

ყურადღებით ჩემი რჩევა. ერთად ერთ ტრფობით მწარე აწმყოს ფარდათ გავფურჩქნით. მარადიულსა ტრფიალებით ყველას გარდავქმნით.

სულის საუნჯევ! უკუ ირიდე კაეშანი გრძნობათა მღილი. ჩამოიფხრიწე ავგაროზი უსაზღვრო სევდის.

მშვენიერება სუფევს მხოლოდ გარდამავალში. აბა რა უწყით რა ბედს გვიქადს მომავლის ჟამი. სიყვარულისთვის მეუფებენ მხოლოდ წუთები.

მაშ, მეგობარო! მოისწრაფე ჩემსკენ წრფელადა. უზომო გრძნების ზღვაა ჩემი უმწიკლო გული. მას თქვენა გწირავთ. მო, ეუფლეთ სამუდამ-ჟამოთ.

დაოსებულ სულს მე მივმადლებ ნეტარ სიმშვიდეს.

თქვენს მწუხარებას ჩავწვავ ჩემის ტრფობის კოკონში“...

. . . . . .

ეჰ, გულუბრყვილო უმანკოებავ! ედემისაკენ იწვევ იმას, ვის არყოფნის მხრისკენ აქვს პირი. სიყვარულს უმხელ—ვინც ცივია, ვით საფლავის ქვა.

სსს... ზრ... ზრ... დაისისინა ქარმა მთელ თავის თილისმით. თითქოს ტაში შემოჰკრა ექსტაზის ნიშნად. სევდის ღამის მსხვერპლს მოუწონა ცხოვრებით ლტოლვილს.

იწივლე ქარო,—წამოიძახა მცირე ხნის დაყურების შემდეგ—იხარხარე განწირულებავ! მაგრამ იცოდე სულის გრძნება არცა შენ გმონებს.

მე ვეძებ მხარეს არ ყოფნისას, მხარეს უხილავს, რომ ფიქრთ მერანი განვასვენო მუნ საუკუნოდ. მსურს გავექცე თვით ჩემს თავსა, ჩემს არსებასა. აღარას ვგრძნობდე. არას ვფიქრობდე.

ვაჰ ამ ფიქრთ ფთილას. მღილი არის გრძნობა-გონების. მღილი, რომელიც სიკვდილს იქითაც კი თანა სდევს. ჟამის და სივრცის გადალმაც კი გულში ეკვრება და აქვითინებს, ავალალებს უზომ-უსაზღვროდ.

ქარი კვლავ ჰქროდა. შავ-ფრთოსან რაშზე გადამჯდარს სასოწარკვეთას გამარჯვებასა ულოცავდა ველური ჰიმნით..

დ. თურდოსპირელი.

იაპონური ზღაპრები

(დასასრული).

ბოლოს 1890 წ. ლაფკადიომ იაპონიას მიახწია. კორესპონდენტად იყო ნიუ-იორკიდან გაგზავნილი. იაპონია მან შეიყვარა სულით, გულით, ვით მშობელი დედა—და არც გაჰყრია მას სიკვდილამდე, მაგრამ მაინცა და მაინც ვერც იაპონიამ დააცხრო ეს მსოფლიო მოხეტიალე, მაძიებელი იმისა, „რასაც არც სახელი აქვს, არც განმარტება“.

მძიმე იყო ზნეობრივი პირობები, მაგრამ უფრო მძიმე იყო პირობები მატერიალური. ამიტომ კორესპონდენტობას ერთი წლის შემდეგ თავი დაანება. ამის შემდეგ ინგლისურ ენის მასწავლებლად იყო მათსუეში, ქუმამოთოში. აქვე გამომუშავდა მისი სარწმუნოებრივი მსოფლ-მხედველობა. იგი აღმერთებდა ბუდას. ქუმამუთოში, თავისუფალ დროს გავიდოდა ხოლმე ძველ სასაფლაოზე მარტოკა. საფლავის ქვებიდან გადმოჰყურებდა უზარმაზარ შენობებს, გადმოჰყურებდა მდუღარე ცხოვრებას მათს გარშემო. იმის გვერდით იჯდა მისი მდუმარე ამხანაგი—ქვის ბუდდა მოწყენილი, იდუმალი ღიმით სახეზე და შორს, შორს ყურებოდა. გეგონებოდათ ლაფკადიოსაც, ბუდდასაც, ერთი ჰქონდათ ფიქრი, ერთი ჰქონდათ ტანჯვა, ტანჯვა იმაზე, რომ ახალი იაპონია ადრე თუ გვიან ძველს იაპონიაზე გაიმარჯვებდა.

სამწუხაროდ, ლაფკადიომ შორსმჭვრეტელობა ვერ გამოიჩინა. მას უყვარდა, ბოდა ძველს იაპონიას, სცდილობდა დაეცვა ის იმ სახით, „როგორიც იყო ის 1000 წლის წინად“, ძალიან ერიდებოდა დასავლეთ ევროპის განათლებისა.

1891 წელს, ტოკიოში, მან შეირთო ერთი წარჩინებული იაპონელის ქალი. დედის ისტორია რომ არ გამეორებულიყო, ლაფკადიო ოფიციალურად მიეწერა ცოლის ტომსა და ადგილობრივ ჩვეულებისამებრ სახელად იაქუმო ჭოიზუმიც დაირქვა. თუ გარედ სულსა ღაფავდა ძველი იაპონია, ლაფკადიოს სახლში იგი სრულიად იყო დაცული. ფეხს არ გადასდგავდა, თუ ეს ძველ-იაპონურად არ იყო მიღებული. შინ მუდამ იაპონურ ტანისამოსში იყო გამოწყობილი, ქუჩაში და უნივერსიტეტში კი ევროპიულ ტანისამოსში დაიარებოდა, ესეც იმიტომ, რომ ჩემი არწივისებური ცხვირი არ შეეფერება იაპონურ ტანისამოსსაო. უცნაური ცვლილება მოახდინა მის სულიერ ცხოვრებაში შვილის დაბადებამ. ღვთის-მგმობმა ლაფკადიომ ღმერთს მადლობა შესწირა და თავისი მსოფლმხედველობა საფუძვლიანად გადაათვალიერა, გადააფასა.

ერთგული მსახური შინტოიზმისა და ბუდიზმისა იგი კვლავ დაუბრუნდა ქრისტიანობას, კათოლიკობას, რომელსაც განშორდა ჯერ ისევ ახალგაზდობისას.

ლაფკადიომ იაპონიაზე ბლომად დასწერა წიგნები და სახელიც გაითქვა ევროპაში, მაგრამ ბოლოს მაინცა სწერდა: „იმდენად შევისწავლე იაპონია, რომ დავრწმუნდი, მე სრულიად არ ვიცნობ მასაო“.

ლაფკადიომ ვერა, ჰპოვა სულის სიმშვიდე აქაც, ვერა ჰპოვა ის, რასაც პატარაობიდანვე ეძებდა. ძველმა სამშობლომ კვლავ გაიწია იგი თავისაკენ. ლაფკადიომ საბაბიც იპოვა—შვილის აღზრდა. მიწერ-მოწერა გამართა ამერიკასთან და ინგლისთან და ლონდონისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებისაგან მიწვევის ბარათიც მიიღო. მაგრამ მას არ ეწერა ტოკიოს განშორებოდა. ძალა გამოეფიტა. დასუსტდა და 26 ენკენისთვეს (ახალი სტილით), 1904 წ. გარდაიცვალა. დაასაფლავეს იქვე, ბუდას მოძღვრების წესით.

მეტი წილი ზღაპრებისა ჰიორნის ძველ იაპონურ წიგნებიდან ამოუკრებია. საკვირველი ისტორია „უქონნა“, რომელიც ეხლა იბეჭდება მისთვის ერთ იაპონელ გლეხს უამბნია, როგორც ლეგენდა თავისი მხარისა. „იყო თუ არა როდისმე ეს ლეგენდა დაწერილი იაპონურს ენაზე არ ვიცი, დასძენს ლაფკადიო, მაგრამ საინტერესო თემა, რომელსაც ეხება ზღაპარი, თითქმის მთელს იაპონიაშია გავრცელებული სხვა და სხვა სახითაო... „რიქი-ბაქა“ კი ნამდვილი ამბავია, დავწერე ისე, როგორც ეს მიამბო იაპონელმა მეზღაპრემა“-ო.

1

ოშიდორი

(იაპონური ზღაპარი)

ლაფკადიო ჰიორნისა.

თამურა-ნო-ღოს ოლქში, მუთსუს მაზრაში სცხოვრობდა ერთი მონადირე და მაბზიერთ-ხუცესი სახელად სონჯო. ერთხელ სონჯო სანადიროდ წავიდა, იარა მთელი დღე, მაგრამ ნადირი ვერა ნახა. დაბრუნდა უკან. ბოლოს დაბა აქანუმაში მდინარეზე რომ გადადიოდა, ძლივს მოჰკრა თვალი წყვილს ოშიდორს*). ერთად მოსცურავდნენ. მოეკლა ოშიდორი ცოდვა იყო, არა და ძალიანა ჰშიოდა. ესროლა ისარი. ისარი მამალ ოშიდორს მოხვდა. დედალი კი მეორე ნაპირას ლერწამში დაიმალა. სონჯომ წამოიღო სახლში მოკლული ფრინველი და ყელი ჩაიკოკლოზინავა.

მაგრამ სონჯომ ღამე საშიხელი სიზმარი ნახა. ვითომ იმის თავთან მოვიდა მზეთ-უნახავი ქალი და მწარედ იწყო ტირილი. ისე ცხარედ აფრქვევდა ცრემლს ისა, რომ სონჯოს რო ესმოდა, ეგონა გული ნაწილ-ნაწილ მეყოფაო.

— ოჰ, რისთვის, რისთვის მოჰკალ ისა?—უთხრა მას ქალმა.—რა დაგიშავა? ისეთი ბედნიერი ვიყავი ჩვენს სამშობლო აქანუმაში, შენ კი დაგვაშორე ერთმანეთს!.. რა გიყო იმან შენა?... გრძნობ რა ჩაიდინე? ოჰ, შენ ვერც კი გრძნობ მთელს შენს შეუბრალებლობას!!.. შენ მარტო ის კი არ მოჰკალი, შენ მომკალი მეცა. უიმისოდ ხომ ვერ ვიცოცხლებ!.. მოვედი იმიტომ, რომ მეთქვა შენთვის ესა!..

და კვლავ ისე მწარედ იწყო ტირილი, შეუკავებლად, რომ ბაზიერთ-ხუცესმა არ იცოდა რა ექნა. ქალმა შემდეგი ლექსი წაილულლულა:

ჰი ქურურება
ზასუეში მონო უო—
აქანუმა ნო
მაქომო ნო ქურე ნო
ჰითორი ნე ზო უქი!

(განთიადისას ვეხვეწებოდი სახლში დავბრუნდეთ მეთქი. ეხლა კი, ვაჰ, აქანუმაში ლერწმის ჩრდილს ქვეშ მარტოკა მიხდება ძილი).

— შენ არ იცი, შენ არ იცი, რა მიყავი მე, გაიმეორა მზეთ-უნახავმა კიდევა, მაგრამ ხვალ აქანუმაში რომ მოხვალ, შენ ნახავ, ნახავ მაშინა... და შეუკავებელი ტირილით გაჰქრა.

სონჯოს მეორე დილას რომ გამოეღვიძა, ნათლად გაახსენდა სიზმარი, მთლად მოიშალა, დანაღვლიანდა. მოაგონდა სიტყვები: „მაგრამ ხვალ აქანუმას რომ მოხვალ, ნახავ, ნახავ მაშინა“!.. და აქანუმას გაეშურა, რომ დარწმუნებულიყო იმის სიზმარს ჰქონდა რამე მნიშვნელობა თუ არა.

მდინარის პირას რომ მივიდა, დაინახა სონჯომ დედალი ოშიდორი. მარტოკა დასცურავდა წყალში. ოშიდორმაც მაშინვე მოჰკრა თვალი სონჯოსა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ დამალულიყო, იმის ახლოს მისცურდა, თან გაშტერებულ თვალს არ აშორებდა.

უცებ მან ნისკარტით გაიგლიჯა გული და სონჯოს თვალწინ დალია სული...

სონჯომ თმა შეიპარსა და ქურუმად შედგა.

სან-განიძე.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

ჯულფა. თავრიზიდან რამდენიმე დაკრილი და ავადმყოფი ჯარისკაცი მოიყვანეს. დაარსეს პირველი 210 საწოლიანი საავადმყოფო.

ურმია. ოსმალეთის კონსული წავიდა ჩიარიკს, სადაც ოსმალთა ჯარის შტაბია. ქალაქში ხმა დავარდა, ურმიას ჩქარა ოსმალთა ჯარის ბატალიონი მოვაო. შეკაკის ტომის ქურთები შეგროვდნენ და მზად არიან ქალაქს თავს დაესხნენ. გუბერნატორმა ოსმალეთის პოლიტიკის მომხრენი და წოდებათა წარმომადგენელნი სათათბიროდ მოიწვია, ურჩია, უდროოდ ნუ ასტეხთ არეულობას, თქვენ თავსვე ავნებთო. გუბერნატორმა განუცხადა, სასტიკად დავსჯი მეამბოხეთაო. დამსწრენი დაეთანხმნენ გუბერნატორსა და სთხოვეს, მოსალოდნელი ამბოხება შეუბრალებლად ჩააქრეთო. ურმიის სამღვდელოებისა, მემამულეთა, ვაჭრებისა და სხვა წოდებათა წარმომადგენელნი, რიცხვით 80 კაცი, რუსის საკონსულოში მოვიდნენ და განუცხადეს: ჩვენ მადლიერნი ვართ რუსებისა და თუ რასმე აენებენ რუსის ჯარს, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ეგ პირადობის საქმე იქნებაო. შემდეგ დეპუტაციამ კონსულს ერთ დაპატიმრებულის განთავისუფლება სთხოვა. კონსულმა თხოვნა აუსრულა. ამან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. რუსის ჯარის გაძლიერებას ურმიელი გლეხობა დიდის სიხარულით შეჰხვდა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა განთქმულ ყაჩაღის კატაზბეგისა და მისი ამხანაგის მიქაელის შეპყრობამ. ქოისა და ურმიის გზაზე სადარაჯოებია: დილმანსა, ხოსროდაგსა, იაშანლუსა, ხანტახტასა, კუსტსა, სილინსა და ადანში.

თავრიზი. რუსის ჯარმა ნათლისღება იდღესასწაულა.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

პეტერბურგი. ტყუილია „ნოვოე ვრემიას“ საკუთარის კორესპონდენტის მიერ გამოგზავნილი და 4 იანვრის ნომერში დაბეჭდილი ამბავი, ვითომც ჩინეთის მთავრობას რუსეთისთვის 100 მილიონი სესხად ეთხოვნოს.

პეკინი. რამდენიმე გ.-გუბერნატორმა, გუბერნატორმა სამეფო გვარეულობას მიჰმართა, რესპუბლიკის გამოცხადებას დასთანხმდითო და იუან შიკაის მიანდეთ ხალხის წარმომადგენლებთან ერთად დროებითი მთავრობის შედგენაო. ამასთანავე დეპეშა გაუგზავნა სიჩუანის გენერალ-გუბერნატორმა ჩენსუანსუანმა, რომელიც იუანშიკაის უსაყვედურებდა, განგებ აჭიანურებს მოლაპარაკებასაო და მოსალოდნელ სისხლის ღვრაში პასუხისმგებელიც ეგ უნდა იყოსო. იუანშიკაიმ ბუტინფანს პროტესტი განუცხადა უჩანის ჯარის იერიშის გამო და შანდუნსა და საზოგადოდ ჩრდილოეთისკენ ჯარის გაგზავნის წინააღმდეგ; ამისთანა მოქმედება დროებით ზავს არღვევს და გვარწმუნებს, რომ რესპუბლიკელებს არა ჰსურთ მორიგებაო.

გამოიცა ბრძანება, რომლის ძალითაც ყველა დიდ და პატარა მოხელეს ევალება უცხოელთა ქონება და სიცოცხლე დაიცვან. ბრძანება ეხება დედა-ქალაქის ოლქსაც.

6 იანვრისთვის დანიშნულია კრება, რომელზედაც დაესწრებიან მთავარნი, მეფის გვარეულობა და ქვრივი დედოფალი. ეს კრება საბოლოოდ გადასწყვეტს მეფის გადადგომის საკითხს.

ციციკარი. გუბერნატორის განკარგულებით, ქაილარს, სადაც მონგოლები და ბარგუტები არიან, ციკარიდან 300 ჯარის-კაცი გაიგზავნა.

კიახტა. ტოგოლოლთა წინადადებით, ულიახუტაის ცენტრუნი სამსახურიდან გადადგა. ინფლუენცა ამ ადგილებიც აიყარა.

მუკდენი. ამბობენ, სამხრეთ მონგოლეთის ერთ-ერთ მთავართან ურგის ხუტუხტას გამოგზავნილი მოციქულნი მივიდნენ და ურჩიეს, შეერთდით ყველა მთავარნი და ჩრდილოეთის დამოუკიდებლობას ხელი შეუწყეთო. ბაჩუნის ოლქში ჩინელებს ძალიან აწუხებენ გადასახადის მოთხოვნითა. ხმა გავარდა, ეს ღასაწყისია ჩინელთა სამტრო მოქმედებისაო.

კალკუტა. მკვიდრთა ქვეითა ჯარის ორი პოლკი კარაჩიდან ჩინეთს არეულობის გამო გონკონგს მიდის.

ჩიფუ. გაზეთების სიტყვით დენჩოუფუ რევოლუციონერებს აუღიათ. საბაჟოს მოხელენი რევოლუციონერებს ემხრობიან. თმის მოკრეჭა სავალდებულო არ არის.

პეკინი. ქალაქში ხმა გავარდა, თუ მეფემ ტახტზე ხელი აიღო, არეულობას უნდა მოველოდეთო. ძლიერი რაზმი იუანშიკაის იცავს. მთელ სასახლეში ჯარისკაცნი დგანან და გამოსასვლელ კარებსაც ჯარის როტა სდარაჯობს. ამბობენ, მანჯურთა აღელვება მთავარ ძიანტაოს საქმეაო.

ტოკიო. პირველი ესკადრა ჩემულპოში შეურთდება კაცურას თავმჯდომარეობით, იამაგატის და ინუის მონაწილეობით ჩინეთის საქმეების გამო კრება მოხდა,

კულჯა. რევოლუციონერებმა რო გაიგეს, ურუმჩში აჯანყება ვერ მოხერხდაო, მხედრობას ადგენენ. ქვეითა კი 3 ათას ჯარისკაცი ჰყავთ უკვე.

სტალია-ბულგარეთის ომი

დეპეშები.

დერნა. 4 იანვარს ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო ოსმალთა 2 ათასმა ჯარისკაცმა. ოსმალნი საშინლად დამარცხდნენ და დიდად დაზარალდნენ. იტალიელებს სამი მოუკლეს და შვიდი დაუჭრეს.

პარიზი. საფრანგეთის საპარლამენტთა შორისო კავშირის ჯგუფმა დაადგინა, მთავრობას ურჩიოს იტალია-ოსმალეთის მორიგებისთვის შუამავლობა იკისროს, რადგანაც საფრანგეთი უეჭველად მოიგებს რასმეო.

რომი. „სტეფანის სააგენტოს“ ატყობინებენ: გარგარეშს მიმავალი იტალიელთა რაზმი, რომელსაც იქ სიმაგრები უნდა აეგო, ოსმალთა ბანაკს წააწყდა. გაცხარებულ ბრძოლის შემდეგ, რომელმაც მთელ დღეს გასტანა, არაბებმა უკან დაიხიეს და გაიფანტნენ. იტალიელებს 50 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. იტალიელთა 5 გემმა ზუარაბს ზარბაზანი დაუშინა, რადგან იქიდან მკვიდრნი იტალიელთა ერთ გემს ესროდნენ, ყაზარმა და კიმაკამის რეზიდენცია დაანგრიეს. მტრის ბანაკი მთლად აირია: თავ-გზა აბნეული არაბები, მხედარნი და ქვეითნი. აქეთ-იქით გარბოდნენ, მაგრამ იტალიელთა ტყვია ცუდ დღეს აყრიდა. იტალიელები არ დაზარალებულან.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

5—6 იანვარი.

სტამბოლი. სენატის დეპუტაციამ ხონთქარს საპასუხო ადრესი მიართვა. რადგან პალატა ვერ არის დაკმაყოფილებული, უმრავლესობის შექმნა და მთავრობის მდგომარეობის განმტკიცება არ შეუძლიან, ამისთვის უნდა დაითხოვოთო.

პალატა დაითხოვეს და ახალს 3 თვის განმავლობაში მოიწვევენ. დათხოვნის ბრძანება დეპუტატებმა და მინისტრებმა ფეხზე ადგომით მოისმინეს. ოპოზიციის დეპუტატები ყვიროდნენ: „გაუმარჯოს ნაციას, გაუმარჯოს 35 პარაგრაფსაო“. დეპუტატები მშვიდობიანად დაიშალნენ.

რომი. რომაელებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ჩერნოგორიის მიერ ავსტრიის ბანკისაგან ფულის სესხებამ. განსაკუთრებით არ მოსწონთ იტალიელებს სესხის პირობა, რომელიც ბანკს ჩერნოგორიაში რკინის გზის გაყვანის უფლებას ანიჭებს.

რომი. სამინისტროსთან ახლო მდგარი „პოპოლო რომანოს“ უკვირს, ავსტრიის გაზეთებმა რათ ასტეხეს განგაში იტალია—ავსტრიის ურთიერთობის გამოსარკვევად. ტყუილია, ვითომც ავსტრიის საზღვართან ჯარი შეგვეგროვებინოს, ან ახალ კორპუსის შედგენას ვაპირებდეთ. რაც შეეხება იტალიისა და დასავლე-

*) ოშიდორი—გარეულ იხვის ჯვარი. ძველ დროიდან დედალ-მამალი ოშიდორი შორეულ აღმოსავლეთში მიჩნეული იყო, როგორც სიმბოლო ცოლ-ქმართა ერთგულობისა.

თის ორ სახელმწიფოს დაახლოვებას, მათ აღიარეს იტალიის გავლენა ტრიპოლიზე და იტალიამ კიდევ მათი გავლენა მაროკოზეო.

პარიზი. ყველა გაზეთი მწუხარებას გამოსთქვამენ იტალიელთა მიერ გემ „კართაგოს“ დატყვევების გამო და დასძენენ; საფრანგეთი და იტალია მეგობარნი არიან და ადვილადაც მორიგდებიანო.

რადგან სტუდენტების მანიფესტაციები არ ისპობა, განათლების მინისტრმა ბრძანება გასცა, პირველ და მეორე კურსის სტუდენტებისთვის სამედიცინო ფაკულტეტი პირველ სემესტრის გათავებამდე დაიკეტოსო.

ბერმინგემი. სამთამადნო ქარხნის მუშებმა 445,804 ხმით 115,921 წინააღმდეგ გაფიცვის დაწყება გადაწყვიტეს, თუ მორიგება ვერ მოხერხდა, მუშები ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდებიან.

ქრისტიანია. ოდესტინგმა მიიღო კანონპროექტი, რომელიც ქალებს სახელმწიფო თანამდებობის მიღების უფლებას ანიჭებს, გარდა მინისტროებისა, დიპლომატობისა, კონსულობისა, სამხედრო და სასულიერო თანამდებობისა.

მადრიდი. სამხედრო მინისტრმა პალატაში შეიტანა კანონ-პროექტი აფრიკის ახალშენებში ჯარის დაარსებისა, რომელიც უნდა უმთავრესად მოხალისეთაგან შესდგებოდეს. მოხალისეთ ოთხს წელიწადს უნდა იმსახურონ.

ბრიუსელი. დეპუტატთა პალატა. სოციალისტებმა შეიტანეს შეკითხვა სანოვაგის გაძვირების გამო. შეკითხვის თაობაზე მსჯელობის დროს კლერიკალ დებარნაფი და სოციალისტი ვანდერველდი შეკამათდნენ. სხდომა შესწყვიტეს. სხდომის განახლებისას ვანდერველდს წესიერებისთვის მოუწოდეს.

ბერლინი. სულ აირჩიეს 206 დეპუტატი. ხელ-მეორედ კენჭი უნდა უყაროონ 191-სა.

ებერდინი. ებერდინის ნაპირთან, ერთ კლდეს ახლო, გემი „ვისტოვგალი“ ჩაიძირა. 53 კაცი დაიღუპა.

სტამბოლი. ოპოზიციის ბევრმა დეპუტატმა საჩქაროდ მიატოვა სტამბოლი. მთავრობის მომხრეთა გაზეთები ადასტურებენ პალატის დათხოვნას, ოპოზიციის გაზეთები თუმცა უკმაყოფილონი არიან, მაგრამ ფრთხილად მსჯელობენ.

დუე. სასამართლომ ანარქისტს ერთის წლის ციხე და ასი ფრანკის გადახდა გადაუწყვიტა, რადგან შარშან სექტემბერს იგი სანოვაგის გაძვირების გამო საბოტაჟს ჰქადაგებდა.

პარიზი. გაზეთები პროტესტს აცხადებენ გემ „კართაგოსა“ და „მანუბას“ ინციდენტის გამო, მოითხოვენ მთავრობისგან სიმტკიცის გამოჩენას და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნას.

იტალიის მთავრობას ამბავი მოუვიდა, გემ „მანუბაზე“ ოსმალთა 19 აფიცერია, ტრიპოლისს მიმავალიო. ამავე გემს მიჰქონდა სამხედრო კონტრაბანდა. გემს მიჰქონდა აგრეთვე ოსმალთა ჯარისთვის დიდძალი ფული. ყველა ამისთვის „მანუბა“ დაატყვევეს და კალიარს გაჰგზავნეს, სადაც მართლა აღმოაჩინეს ოსმალნი. ოსმალთა გადმოსხმის შემდეგ „მანუბა“ ისევ გაუშვეს.

ტუნისი. სარდინიასთან იტალიელთა ნაღმოსნებმა საფრანგეთის საფოსტო და გერმანელთა გემები შეაჩერეს. გერმანელთა გემი ჩქარა გაუშვეს, საფრანგეთისა კი კალიარს გაჰგზავნეს. გემზე 99 მგზავრი ყოფილა, იმათში 29 ოსმალთა სანიტარი. ტუნისს მოსულ საფრანგეთის გემსაც თვალ-ყურს ადევნებდნენ იტალიელთა გემები და პროჟექტორებით გაანათებდნენ ხოლმე, თუმცა მის მსვლელობისათვის ხელი არ შეუშლიათ

პარიზი. პუანზარემ განაცხადა, ორშაბათს „კართაგოს“ დატყვევების თაობაზე განმარტებას მოგცემთო.

ბერლინი. მიუნჰენის ჟურნალ „მერცში“ დაბეჭდილია წერილი ერენტალის თაობაზე.

გვაიაკილი (ეკუადორი). კანონიერ მთავრობის ჯარმა იაგუაშს ახლო დროებით მთავრობის ჯარი დაამარცხა. ათასამდე კაცია დაჭრილ-დახოცილი.

რუსეთი.

პეტერბურგი. დასრულდა რუსეთის მხატვართა კრება.

მხატვართა კრებამ დაადგინა: ყველა სამხატვრო დაწესებულებანი ცალკე გამოიყოს და განსაკუთრებითი დაწესებულებას დაექვემდებაროს.

ბაქოს საოლქო სასამართლოში 13 მარტს გაირჩევა ტაგიევის საქმე, რომელმაც ინჟენერი ბებუთოვი აწამა.

პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის დირექტორთა კრებამ საჭიროდ სცნო: გიმნასტიკის სავალდებულო საგნად აღიარება, სამხედრო საქმის სწავლების შემოღება, გიმნასტიკის მასწავლებელთათვის ცენტრალურ ინსტიტუტის დაარსება და სხვა.

კიევი. იუშჩინსკის მკვლელობის საქმის შესახებ წინასწარი გამოძიება დასრულდა და ბრალმდებელს გადაეცა.

სარატოვი. სარატოვის მაზრის საზოგადო სამუშაოთა კომიტეტი შუამდგომლობს, რათა განზრახულ სამუშაოთათვის 366000 მანეთი გადასდონ.

დონის-როსტოვი ქალაქის დეპუტაცია პეტერბურგს მიემგზავრება უნივერსიტეტის დაარსების საშუამდგომლოდ. უნივერსიტეტისათვის უკვე 2 მილიონი მანეთია შეკრებილი.

არხანგელსკი. პეჩერის საბაქტერიოლოგიო-სასანიტარო ლაბორატორიის რაზმებმა ჩრდილოეთის 13000 ირემს შავი ჭირი აუცრეს.

რუსეთი

წიგნების მკაზმავთა გაფიცვა. ეს ერთი ხანია წიგნების მკაზმავთა გაფიცვაა პეტერბურგში. ეხლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გაფიცვა დასრულებულა. გაფიცულთ მხოლოდ რამდენიმე მოთხოვნილება დაუკმაყოფილეს, ზოგგან ხელ-ფასი მოუმატეს.

დეპუტატის გალახვა. კურსკში ვაჭართა კლუბის წევრების კრებაზე საერობო გამგეობის თავმჯდომარეს სათათბიროს დეპუტატის სუშკოვისათვის შანდალი დაურტყამს. საქმეში პოლიცია ჩარეულა.

ჭეშმარიტ-რუსთა კავშირი განსაცდელშია. ჭეშმარიტ-რუსთა კავშირის ლიდერების კერძო თათბირზე კავშირის მდგომარეობა კრიტიკულად იქმნა აღიარებული: კრებებს არ ესწრებიან; საწევრო ფული არ შემოაქვთ. შესაძლებელია კავშირი ბოიკოტს მეოთხე სათათბიროს არჩევნებამდის.

ღია წერილი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობასა და მსახიობებისადმი.

პარასკევს, ქართულ თეატრში, წარმოდგენის დროს, პირველ მოქმედების შემდეგ, დრამატიულ საზოგადოების დასის მსახიობმა კ. მესხმა სიტყვით შეურაცყოფა მიაყენა ჩვენი გაზეთის რედაქციის გამგესა და თანამშრომელს იმ რეცენზიის გამო, რომელიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში „იულიოს კეისარის“ დადგმის გამო, თუმცა არც ერთსა და არც მეორეს ამისთვის არავითარი საბუთი არ მიუცია. ბ-ნი კ. მესხი მიიჯრა მათთან და ამაღლებულის კილოთი დაუწყო ლანძღვა, ამიტომ რედაქცია მიჰმართავს ერთის მხრით დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და მეორის მხრით თვით მსახიობებს, კ. მესხის ამხანაგებს, გვიპასუხონ, როგორა ჰსურთ პასუხი გასცენ ამ არა ჩვეულებრივ და შეუსაბამო საქციელს?

„სახალხო გაზეთი“-ს რედაქცია.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. პარასკევს, 6 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა დასდგა გედეონიშვილის ცნობილი პიესა „მსხვერპლი“. პიესამ საერთოდ მწყობრად ჩაიარა. საზოგადოება დიდძალი დაესწრო. დარბაზი თითქმის სავსე იყო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პარტერი სალოტოოდ იყო გამზადებული, ჩვეულებრივი სავარძლები აეღოთ და სკამები დაედგათ, ისიც უწესრიგოდ დანომრილი. წესიერების დაცვა ყოვლად მოუხერხებელი იყო. საჭიროა თეატრის ადმინისტრაციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს თეატრის წესრიგს და თეტრის დარბაზი წარმოდგენების დროს მაინც ლოტოს დარბაზად არ აქციოს.

ახალგაზდობა იმდენად თავაშვებულად იქცეოდა, რომ ლოჟებში, წარმოდგენის დროს, პაპიროზიც კი გააჩაღეს.

ქუთაისი. დღეს, 8 იანვარს, ქალაქის თეატრში დანიშნულია ბენეფისი **იუზა ზარდალიშვილისა.** წარმოადგენენ დიუმას ცნობილ პიესას **„ედმონდ კინს“** კინის როლში პირველად გამოდის ბ-ნი ზარდალიშვილი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ ნიჭიარი მსახიობის ბენეფისს.

წერილი რედ. მიმართ

ბატ. რედაქტორო! ოქვენს პატივცემულ გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა, რომ მე თითქოს გამეთავებინოს ჟენევის უნივერსიტეტის საქიმო ფაკულტეტი. ის ნომერი, რომელშიაც მოთავსებული იყო ზემოხსენებული ცნობა, შემთხვევით ჟენევაში არ მოსულა, რის გამო ეს ამბავი ჩემთვის შეუჩნეველი დარჩა. ეხლა მაინც, თუმცა გვიან, ვალდებულად ვთვლი ჩემ თავს განვაცხადო, რომ მე ჯერ-ჯეროობით საქიმო ფაკულტეტი არ გამითავებია, მე მხოლოდ „Baccalauréat“ მაქვს ჩაბარებული. **სტუდენტი ავთ. ინგოროყვა.**

ჟენევა.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურღელაშვილი.

გამოსაღეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (5 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, 1—[illegible] კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—II. კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—II კლ. ღამ. 1 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9,66, I—III კლ. დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74,75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში შორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან: 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/10, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის I და №-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. №-5 და №-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

განცხადებანი

პარაკულის ქუდი

2 მანეთად.



უმაღლეს ხარისხის ხელოვნურ კარაკულის ნაცრის-ფერი და შავი ქუდი, შავ წმინდა აბრეშუმ-ატლასის სარჩულით. დამკვეთელთ დაკვეთის დროს უნდა გამოგზავნონ თავის ზომა, ეგზავნებათ ფასდადებთ, უბოდ. გასაგზავნის და გასაზვევ მასალისათვის 55 კ. იხდიან. ციმბირში კი 95 კ. ვინც 3 ქუდს დაიკვეთს გასაგზავნ ხარჯს ჩვენვე ვიხარულობთ. დაწუნებულს უკანვე ვიღებთ.

მისამართი: Кивману, Лодз., № 8. Д. ეტცლ. 82345. (4—009—)

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარეებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე ამოწერებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**

(თ. 1646.5)

მუხრანის კერძო

სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ Песковская ул., 9 и 48 Цицiановская подъемъ, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ № 371.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაზოვი. შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-მდე.

გ. მ. გოგობერიძე. შინაგან და ბავშვებისა, 11—12 ს.-დე.

მ. კ. იოსელიანი. დედათა სნეულებანი, დილის 10-ნახევრიდან 11 ს.-დე.

მ. ლ. შტრეიხერი. ყელისა და ყურისა, 11 ნახ. 12 ს.-დე.

ლ. გ. საყვარელიძე. შინაგან და ბავშ., 12 ნახ. 1 ს.დე.

იაშვილი. შინაგან, 1—2 ს.დე.

გ. ბ. მელკონიანი. ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი. ქირურგიულ., 11—12 ს.-მდე.

გ. ა. ახვერდოვი. შინაგან, 12 ნახ. 1 ნახევარ ს.-დე.

მ. დ. კილოსანიძე. ქირურგ. 12 ნახევრ. 1 ნახ. ს.-დე.

კევში. კბილისა, 8—11 ს.-დე.

მ. ბ. მიკირტუმოვი. დედათა სნეულებ. და საბებიო, 1 ნახ. ს.-დე.

ათაწანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) **„606“-ით.** დარიგების ფასი 50 კაპ. სტაციონალური ექიმობისათვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვა მორიგებით.

№ (646. 100—56 (1—10) 1—201)

სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა,

დაარსებულია 1830 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი; 11 11 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ე. მ. ჩიქოვანი: 9½ 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მლინი: 10 12 ს. ყურისა, ცხვირისა და უყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სამ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12 1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12½ 1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა,

გ. ი. გურგენოვი: 1 1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. კ. კარაპეტიანცი: 1 1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი; 9 10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 5—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. 606-ით წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 11.8.29)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავალო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ოინაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფრასს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв, 1. **входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.**

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.59)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 026.

იღებენ ავადმყოფნი:

ალაფაანოვი—საშარდე ორგანოთა, ამებიანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—2 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებისა, სულიერ-ავადმყოფო. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ ს.

ა. დ. ალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყველაფერს უცრიან. ძიძებს ამოწერენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო ალატისა და ცალკე ნომრებიან.

წამლობა „606“-ით.

(100—1615—10).

ოქროს მედალი, ლონდონი 1892 წ.

გაუფრთხილდით სიყალბეს!
პროვიზორ
გ. ფ. იუგერნსის
ბორნო-ტიმოლის
საპონი
ოფლისა, მზის ნამწვისა, ძიძიბებისა, მელასი და ჭორფლის წინააღმდეგ **კეთილ-სუნელოვანი ხელის საპონი უმაღლესი ღირსებით.**
ყველგან ისყიდება.
½ ნაჭერი 50 კ. ¼ ნაჭერი 5 კ.
Метцл. 5215. (18.1178.8)

ოქროს მედალი, ფილადელფია 1876 წ.

ეგ. ფ. ფიგნერის საბანი
ბორნო-ტიმოლთან, მოსკოვი.

ძ. თ ე ლ ა ვ ი ნ ი
ისყიდება პირველად გამოსული
ქართული ენციკლოპედია
ძ. რიგაბ-ერისთავის
◀ წ ი გ ნ ი ▶
თვით-მასაღლებელი, 128 ნახატი.
ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის! აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 1 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტსერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერვა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Ев Г. тавань „Школа кроики и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ (100—1140—95)

სუსუნატის წინაადგილ
ახალი წამალი
„SALO-კიჩილინი“
სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა ახლად გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძვეს. ნამდვილი მხოლოდ ლიოთონის კოლოფითაა, 4 მან. და 50 კ.
აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუჩყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.
დეპო: Петербургъ. Разъѣзжая № 7, Аптека Б. Конгейма.
ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით.
კავკასიის საფოსტიაქო საქონლით. მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება
Метцль. 12429. (45—2014—40).

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მოწაფეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერელებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი „ნაკადულისა“** მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერელს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-●●—
●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—4 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ხუდალაშვილების სახ. Го о ивскій пер. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბაბტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეონ იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიავშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ანტონ კასარაძესთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—12 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ხ ე ლ ს ა ქ მ ი ს
ქ. რ ი გ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა
M-me მინასი.
ტფილისი, განოვის ქ., № 6.
მიღებულია
აუარეგელი ახალი რამ. (10.1618.9)

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია.“
1860 წელს დაარსებული.
ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად
პარიზი 1900. ყვავილის ო-დე-კოლონი,

„საუცხოვო აკაცია“,
„ნუ დამივიწყებ“,
„მხიბლავი სუმბული“.
თავისებური, საუცხოვო და ხანგრძლივი
✦ უმაღლესი ღირსებისა. ✦
მთავარი საწყობი: ტფილისი, საამფოიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (23.1292.10)

„ს ო რ ა პ ნ ი ს“ გ ა მ ო ც ე მ ა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად
კ ე დ ლ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი 1912 წ ლ ი ს ა,
შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.

კალენდარში სხვა და სხვა სასარგებლო ცნობათა გარდა მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. **კალენდრის კარდონი დაბეჭდილია სხვა და სხვანაირ ფერადის საღებავებით ლიტოგრაფიაში, სუფთად და ლამაზად შეკრულია თუნუქით, რომ ახევის დროს არ დაიბნეს.** ფ ა ს ი კ ი ისევ ძველებურია **40 კაპ.**

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად „სახალხო კალენდარი“, მ. გაჩეჩილაძის შედგენილი, ფ ა ს ი 20 კ.“

პარტიობით მყიდველებს დაეთმობათ პროცენტები. ადრესი: Тифлисъ Типографія „Сорапань“, М. Гачечиладзе. (20. 1594. 20)